

თემო ჯავახი  
TEMO JAVAKHI

TEMO JAVAKHI

MIRRORRIM

თემო ჯავახი

# MIRRORRIM

თანამედროვე ხელოვნების რეტროსპექტიული გამოფენა • Retrospective Exhibition of Contemporary Art



თემო ჯავახი  
TEMO JAVAKHI

# MIRRORIM

თანამედროვე ხელოვნების რეტროსპექტიული გამოფენა • Retrospective Exhibition of Contemporary Art



საქართველოს კულტურისა და  
ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
Ministry of Culture and Monument  
Protection of Georgia



სონეტი ოქროს თევზებისათვის (კინო „ვიდეო“ ეტიუდი) 1974 წ.  
Sonnet for Golden Fish (Movie Video - Etude) 1974



დაიბადა 1951 წელს კახეთში. 1968 წელს გახდა თბილისის თეატრალური სასწავლებლის, ხოლო 1970 წელს – ვ. ანჯაფარიძის სახ. კინო სახელოვნებო სასწავლებლის სტუდენტი. 1971 წელს, სწავლის პარალელურად, ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდები. თემურ ჯავახიშვილი არის თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი – მსახიობი, მხატვარი, პოეტი და რეჟისორი. 1976 წლიდან - აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში. 1983 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა თანამედროვე ხელოვნების (Contemporary Art) მიმართულებით. თუ გადავხედავთ ამ სფეროში თ. ჯავახიშვილის მუშაობის განვითარების ხაზს და გავითვალისწინებთ როგორც ქართველ, ისე უცხოელ ხელოვნებათმცოდნეთა, კრიტიკოსთა და კურატორთა აზრს მისი შემოქმედების შესახებ, აღმოვაჩინოთ - რომ, ის უმეტეს შემთხვევებში, უარყოფს დადგენილ კლიშეებს და ერიდება „გაკვალი“ გზით სიარულს; უარყოფს ერთსახოვან მხატვრულ სტილისტიკას და შეგნებულად უთავსებს, სხვადასხვა თემატიკის ხელოვნების ნაწარმოებს შესატყვის მხატვრულ ფორმასა და კონტექსტუალურ სტრატეგიას.

აი, როგორ განსაზღვრავდა თ. ჯავახიშვილის შემოქმედებას 1990 წელს მისი მეგობარი, შესანიშნავი მხატვარი, პოეტი და კრიტიკოსი (ამჟამად გარდაცვლილი) კარლო კაჭარავა: „ხელოვანმა მიაგნო სხვადასხვა მრავალფეროვან მხატვრულ მასალათა, ფხვნილოვანი გრუნტის (გამომწვარი მიწის, დაფხვნილი ქვის, ცემენტის, ქიმიური პიგმენტების) და კონკრეტული პოეზიის ერთობლიობათა უნივერსალურ ნაერთს, რომელიც ძალადაუტანებლადაა შეხამებული სხვადასხვა კულტურულ, ინფორმაციულ და კონცეპტუალურ გამოცდილებასთან. აღსანიშნავია, რომ - თ. ჯავახიშვილის ორიგინალური ხელოვნება, როგორც სათანადოდ შეუსწავლელი ტენდენციების საინტერესო ევოლუციის ნიმუში (განსაკუთრებით კი ნამუშევართა ის სერია, რომელშიც იკითხება „ახალი გეომეტრიზმისა“ და კონცეპტუალიზმის ნიშნები), ძალზე მონუმენტურია და, ამავე დროს, თანამედროვე ქართული ავან-გარდის უმნიშვნელოვანესი ნიმუშია.“ 1991 წლის შემოდგომაზე მოეწყო მხატვრის მეორე პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „ლეტრიზმი“, რომელიც უკავშირდება დამწერლობას. გამოფენილ ნამუშევრებში გამოყენებული იყო, როგორც ქართული და სხვა უცხოური ანბანები, ისე სხვადასხვა დამწერლობითი ნიშნები და კონცეპტუალური ტექსტები. ასევე მორბეს ანბანის გრაფიკული ნიშნები „ინტიმური პოეზიისა“ და კომუნიკაციისათვის. დროის ამავე მონაკვეთში იქმნება თ. ჯავახიშვილის მინიმალისტური, ვიზუალური და კონკრეტული პოეზიის ნიმუშები, რომელთა უმეტესობა გამოყენებულია ვიზუალურ მხატვრულ ობიექტებში.

ზოოოოოოოოოოო	განმარტოვების ზონა	ნააააააააააააააააა
ზოოოოოოოოოოო	განმარტოვების ზონა	ნააააააააააააააააა
.....	საუბარი	.....
ზოოოოოოოოოოო	განმარტოვების ზონა	ნააააააააააააააააა

ცნობილი პოეტი, გაზეთ „ალტერნატივას“ და ჟურნალ „ახალი საუნჯის“ რედაქტორი, შოთა იათაშვილი ასეთ აზრს გამოთქვამს თ. ჯავახიშვილის პოეზიასთან დაკავშირებით: „...მისი ლექსი ვიზუალურ მხატვრულ ობიექტებში გამოიყურება, როგორც „ლენდ არტული“ სივრცე, ხოლო მისი რამოდენიმე, ერთმანეთთან შეცემენტებული, სიტყვა, რომელიც თავისი არსით ხან ეგზისტენციალური შეძახილია, ხან კი - გამოცდილებითა და ტკივილით გაჯერებული დუმილი, შეიძლება ითქვას, რომ ქართული თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ფენომენია.

ის მართლაც კარდინალურად განსხვავებული და ორიგინალურია, რადგან მან ქართულ თანამედროვე პოეზიაში მინიმალისტური ლექსის სრულიად სხვა რაკურსი და გაგება მოიტანა. თ. ჯავახიშვილი არ იყენებს არც აღმოსავლური პოეზიის (ჰაიკუ, ტანკა) და არც რომელიმე სხვა მიმდინარეობის მხატვრულ ფორმებს არც წაბაძვით და არც პირობითი ან ფორმალისტური სახით. ის გაურბის სხვა პოეტებისათვის დამახასიათებელ ჩვეულ ეპითეტებსა და მსუყე ფრაზებს. პირიქით, თემო თითქოს აშრობს, აღვინებს საკუთარ ცნობიერებაში არსებული ლექსის პირველად ვარიანტს, აცლის მას „ხორციან მასას“ და რითმიან კუდებს, კარკასზე კი ტოვებს პოეტური სკულპტურული ფორმის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელშიც მკითხველმა იმ პირველადში არსებული მთავარი უნდა ამოიკითხოს.“

თ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია როგორც თეატრს, ისე პერფორმანსს. აი, რას წერს 1994 წელს თეატრმცოდნე გიორგი ხართოლანი მისი პერფორმანსის „P.S“-ის შესახებ: „წარმოდგენა „პოსტსკრიპტუმი“, რომლის ავტორი, რეჟისორი და მხატვარია ბატონი თემო ჯავახიშვილი, შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ქართულ თეატრალურ აზროვნებაში პირველი ექსპერიმენტული პერფორმანსია ავანგარდული თეატრის ესთეტიკის დასამკვიდრებლად, რაც ტემშარიტად წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების გზაზე.“

რაც შეეხება ქართული ვიდეო არტის დამკვიდრებას, ამის შესახებ აზრს გამოთქვამს ვიდეოს იაპონელი მკვლევარი და კურატორი კეიკო სეი: „ოთხი დღის განმავლობაში ვნახე ყველა ქართული ვიდეოარტი, რომელთა შორის გამოვარჩევ თ. ჯავახიშვილის 1993-94 წელს შესრულებულ „აბრეშუმის კაცს“, რომელიც ქართული ვიდეო არტის კლასიკაა. ეს არის შესანიშნავი და არაჩვეულებრივი ნაწარმოები, როგორც აზრობრივად, ისე ტექნიკურად. ალტაცებული ვარ და ძალიან მომწონს ეს ყველაფერი: ის, თუ, როგორ იწყება მუნჯი ანიმაციით. თანდათან, როგორ ვითარდება და მთლიანდება სხვადასხვა ვიდეოთა კოლაჟი. მისი ფაქტურა და მასში ჩართული უღერადობა, კონკრეტული პოეზია და კონცეპტუალური ტექსტები. მინდა ვაღიარო, რომ, რომ არ ვიცნობდე ამ ვიდეო არტის ავტორს, ნაწარმოების მაღალი ემოციური და ენერგეტიკული მგრძნობელობა მაფიქრებინებდა, რომ ეს ნამუშევარი შექმნა ოცი წლის ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც ფრუსტრირებული და იმედგაცრუებულია საქართველოში არსებული რეალობით. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ხელოვანის პროფესიონალურ მხარეს. თანაც, ძალიან დიდი სურვილი მაქვს და ვიმედოვნებ, რომ ეს ვიდეო ნაწარმოები, თავისი ორიგინალობისა და მაღალმხატვრული ღირებულების გამო, წარდგეს შესაბამისი მაღალი კატეგორიის საერთაშორისო ფესტივალებზე და ბიენალებზე, რასაც ის ნამდვილად იმსახურებს.“

კეიკო სეი,  
4 აპრილი, 2003 წელი

The artist – Temur Javakhishvili

He was born in Kakheti region in 1951. In 1968 he entered Tbilisi Theatrical Institute and in 1970 he became a student at V. Anjapharidze Cinema Art School. At the same time, he enrolled in Tbilisi State Academy of Arts. Five years after graduation from the Academy of Arts, he started his career as the director and one of the co-founders, actors and artists of Tbilisi State Marionette Theatre. Since 1976 he has actively participated in exhibitions of visual art. In 1983 he started intensive work in the field of contemporary art. Development of the artist’s work in contemporary art as well as the opinions of outstanding local and international theatre theorists, art critics and curators show that T. Javakhishvili tends to reject some well established clichés and avoids taking the “paved” path. He does not accept homogeneous artistic stylistics and combines various works of art, artistic forms and contextual strategies. As early as 1990, his friend, the great artist, poet and art critic Karlo Kacharava (r.i.s.) said: “T. Javakhishvili discovered a combination of universal compound of a wide variety of materials (powdery soil and burnt land, cement, vegetation, chemical pigments, etc.) and created graphical poetry integrated with different cultural, informational and conceptual experiences. It should be noted that T. Javakhishvili’s original art, as the sample of evolution of unexplored trends (especially the series of works that reveal signs of “New Geometrism” and Conceptualism) is monumental and represents the most important examples of the Georgian avant–garde.”

Zoooooooooooo	Izolation zone	ooooooooooooone
Zoooooooooooo	Izolation zone	ooooooooooooone
.....	Phone	.....
Zoooooooooooo	Izolation zone	ooooooooooooone

In autumn 1991 the artist devoted his second exhibition “Lettrism” to written language, applying Georgian as well as foreign alphabets, various written signs, conceptual texts, totemic signs of different ages and graphical equivalent of Morse code as the intimate language for intimate topics. In the same period, T. Javakhishvili created his minimalistic, visual and graphical poetry samples, most of which are used for visual art-objects. Shota Iatashvili, the famous poet and the editor of the literary newspaper “The Alternative” and the magazine “The Akhali Saunje” admits: “Temo’s poem within its visual artistic objects looks like a “Land Art Space“ while words cemented to each other is a phenomenon of the Contemporary Georgian poetry. T. Javakhishvili is a truly distinguished Georgian artist, since he introduced different perspectives and understanding of an artistic minimalism in poetry. He uses neither oriental poetry experience (Haiku, Tanka) nor any other artistic form. He does not imitate any conventional formal style. He avoids using the epithets and rich expressions characteristic of some other poets. On the contrary, it seems as if he “dries out” the first draft of a poem which exists in his consciousness, then strips away the “fleshy” part and rhythmic tails, thus leaving only the part on the frame in which a reader reads the essential of the primary.

Both theatre and artistic performance play an equally significant role in his art. This is what George Chartolani, the famous theatre critic, writes about his performance “P. S“ in 1994: “The performance “Postscript”, is an experimental performance to establish avant-garde theatre aesthetics in the Georgian artistic thinking, which is truly a step forward on the way of renovation of the Georgian Theatre.”

As for the establishment of video art in Georgia, Keiko Sei, the Japanese artist and curator, says: “I saw all the Georgian video-art installations and I would like to mention about the “Silk Man” created by T. Javakhishvili in 1993-1994, which represents a classic Georgian video art. It is excellent and extraordinary, in terms of both conceptual and technical approach. I like it very much: it starts with a silent animation, then a variety of video art collages gradually developed and united. I like its texture, sound, graphical poetry and conceptual texts. I would like to admit that if I had not known the author of this video art, I would think that due to its highly energetic and emotional sensitivity, the installation was created by a twenty-year-old young man, who is disappointed and frustrated in Georgian reality. I want to express my hope and wish this video installation to be displayed at the top festivals and biennales, that, I believe, it definitely deserves.”

Keiko Sei,  
April 4<sup>th</sup>, 2013



## თემო ჯავახის (ჯავახიშვილის) არტი

თემო ჯავახი ქართული არტის გამორჩეული ფიგურაა თავისი მრავალფეროვანი ექსპერიმენტებითა და ადგილობრივ კონტექსტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული, მუდმივად ორიგინალური, მხატვრული რეაქციებით.

მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში წარმოდგენილია ფერწერა, გრაფიკა, ფოტოგრაფია, მხატვრული ობიექტები, სიტყვა-ობიექტები, ტექსტისა და გამოსახულების სინთეზი, პერფორმანსი, ვიდეო არტი, ინსტალაცია და სხვა. უპირველესად, მისი სახელი ასოცირდება ფაქტურული ზედაპირების მქონე აბსტრაქტულ ობიექტებთან, რომლებიც სურათის მსგავსი ფორმატის ნამუშევრებია და არქიტექტურული ზედაპირების მოტივებზე ვითარდება მასალების ფაქტურის (გრუნტის აგებისას გამოიყენება ცემენტი, გამომწვარი მიწა, ქვის ფხვნილი და სხვა ქიმიური პიგმენტები) და ზედაპირის რელიეფური „ხნულებით“ დამუშავების აქცენტებით. ამ ტიპის ნამუშევრების ხასიათი პრეისტორიული გამოსახულებების ბუნებრივად შემორჩენილი „ანაბეჭდების“ და არქეტიპული მოტივების ასოციაციას იწვევს, მათი განმსაზღვრელი აქცენტი კი დამწერლობისა და ანბანის თემით აღინიშნება. 1991 წელს თემო ჯავახის პირველი პერსონალური გამოფენა სწორედ ამ კონცეფციაზე იყო აგებული. მისი სათაური „ლექტრიზმი“ ერთდროულად აღნიშნავდა როგორც ცნობილი მოდერნისტული მიმდინარეობის გამოცდილებასთან კავშირს, ისე ამ გამოცდილების თავისებურ გადახრებას. ფაქტურულ ზედაპირებზე ამოკვეთილი ნიშნები, ცალკეული ანბანების ასოები, კონტექსტუალური ტექსტები, ციფრები, კარტოგრაფიული სილუეტები, სიმბოლური გამოსახულებები – ერთგვარი შიფრის ვიზუალურ სისტემას ქმნიან, სადაც (ზოგიერთ შემთხვევაში) კონკრეტულ შინაარსს არ აქვს მნიშვნელობა. ეს შიფრი, ზოგადად, ისტორიის, გამოცდილებებისა და ცოდნის კოდებს უკავშირდება. ამ მიმართულების ნამუშევრებიდან აღსანიშნავია მორზეს ანბანის თემაზე აგებული „აბრაამის მოდგმა“ და „მთავარი ლოცვა“, სადაც ნეიტრალურ ფონზე შიფრით გამოსახული ტექსტი, ზოგადად, ადამიანური, ანდა კულტურის ისტორიის სიმბოლურ გამოსახულებად იქცევა. თემო ჯავახის ერთ-ერთ ცნობილ ნამუშევარში (“ჩ”) თვითპრეზენტაციის არტისტული ფორმაც ანბანს უკავშირდება: ავტოპორტრეტზე აღბეჭდილი ხელოვანის დგომის მანერა, რუსული “ჩ” – ს გრაფიკულ იმიტაციას წარმოადგენს. ნეიტრალურ თეთრ ფონზე შავი კოსტიუმით, შავ-თეთრი ლაკონური გამოსახულება, ერთდროულად აჩვენებს პერსონალურად არჩეულ განმარტობასაც და სოციალურ სივრცეში საკუთარ „უადგილობასაც“, ერთგვარ კონფლიქტს არსებულ სისტემასთან, რაც ინტროვერტულ თვითჩარჩავებაში გადადის. თუმცა, აქ შემოდის საგნებით კონკრეტული თემებიც, როგორცაა მოქმედი ბიუროკრატიული სისტემა და მისი გულგრილობა-განურჩევლობა არტისტული სამყაროს მიმართ.

თემო ჯავახის აქცია „ბულ-ბულიონი“ (ეროვნული გალერეა. 1991 წ.) ლინგვისტური თამაშების სერიიდან, სწორედ, არტ-სივრცის იგნორირების თემას უკავშირდებოდა და აბსურდისა და ირონიის გადაკვეთით აჩვენებდა კომუნიკაციის პრობლემას: ექსპერიმენტული პოეზიის წაკითხვის შემდეგ ავტორმა ტექსტები ნაკუწებად აქცია და ბოსტნეულთან ერთად მოხარშა ბულიონში. კომუნიკაციის პრობლემა უფრო გამძაფრებულია ვიდეონამუშევარში „აბრეშუმის კაცი“ (1994 წ.), სადაც გაუცხოების ეგზისტენციალური დრამა სისტემის ძალადობისა და ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფონზე მძაფრი ვიზუალური გზავნილით არის გადმოცემული. თბილისის ისტორიის მუზეუმში, ქარვასლაში, 2003 წელს ჩატარებული ვორქშოფის ფარგლებში ეს ვიდეო ერთ-ერთი მთავარი დისკუსიის თემა გახდა. ვიდეოარტის მკვლევარმა და კურატორმა, კეიკო სეიმ, მას ქართული ვიდეო ხელოვნების კლასიკა უწოდა: „...ეს არის რაღაც არაჩვეულებრივი... ტექნიკურად და შინაარსობრივად ძალიან კარგად გაკეთებული: შინაარსი, ფაქტურა... როგორ იწყება საერთოდ... სრულიად მუნჯი ანიმაციით და შემდეგ კი... როგორ ერთვება მასში ტექსტი, მუსიკა, ზღერადობა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ოცი წლის ახალგაზრდა ბიჭის ნამუშევარია. არ ვგულისხმობ ნამუშევარის პროფესიონალურ ხარისხს, მხედველობაში მაქვს საკმაოდ ძლიერი ემოციურ-მგრძნობელობითი მხარე... და რომ არ ვიცნობდე ავტორს, ვიფიქრებდი, რომ ეს ასეცაა. ის, თითქოს, ფრუსტრირებული და იმედგაცრუებულია საქართველოს პოლიტიკური და, ზოგადად, ცხოვრებისეული საკითხებით. ვფიქრობ, რომ ეს არის გაკეთებული იმ ადამიანის მიერ, ვინც ცდილობს თავისი ენერჯია ჩადოს რაღაც სხვაში...“ (კეიკო სეიმ, 2009.4.4.). დრამატიზმი განსაკუთრებით ძლიერია ისეთ მინიმალისტურ ფორმაში, როგორცაა თემო ჯავახის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნამუშევარი „მძიმე“, 1993. ეს არის გრანიტის სკულპტურა – ქეისი ბრინჯაოს სახელურით, რომლის დაძვრაც ადგილიდან თითქმის შეუძლებელია. საკმაოდ მარტივი ფორმა, განსაზღვრული ქვის მძიმე ფაქტურის კომპონენტით, მინიმალისტურად აჩვენებს საქართველოს უახლესი ისტორიის კრიზისული

მომენტის უკიდურეს დაძაბულობასა და სიმძიმეს. ფაქტურებისადმი ინტერესი უფრო გაღრმავებული და განვითარებულია ნამუშევრებში, რომლებიც გარემოს ხელოვნების (Environmental Art) კატეგორიაში შეიძლება მოექცეს. ამ ხელოვანისთვის მნიშვნელოვანია ტრანსფორმაციის პროცესები, იქნება ეს ყინულის დნობა თუ მცენარის განვითარება მარცვლიდან. ორგანული პროცესების მოტივი მოქმედი სამყაროს სიმბოლურ გამოსახულებად იქცა პროექტში „ასტრალური პროექცია“, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნამუშევარს წარმოადგენდა ასამბლაჟი „XX საართული“ (N გალერეა. 1998წ.), სადაც დიდი ზომის ტილოზე ბუნებრივი კონდარი იყო წამოზრდილი, ტილოს ამოჭრილ ფრაგმენტში კი მონიტორი იყო დამონტაჟებული ვიდეოკადრით, რომელზეც კიბეებზე ამავალი ნაბიჯები ადამიანის უსასრულო მსვლელობის პროცესს გადმოსცემდა.

ზოგადი კონტექსტის ველი აქ ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის ვიზუალურ მეტაფორაზე დადის, ხოლო სხვა ნამუშევრებში დამუშავებული ლოკალური კონტექსტის პრობლემატიკა ისევ ლინგვისტურ განზომილებას უკავშირდება.

აქცია-პერფორმანსი „ქართ-ველი“ 1998 წელს ძველ გალერეაში მოეწყო. ტერმინი „ქართველი“ და მისი დაყოფით მიღებული „ქართ ველი“ (ქარების ველი) ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელ დისკურსს უკავშირდება, სადაც აღნიშნული ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ნაციონალობა მუდმივ კატაკლიზმებთან და არაპროგნოზირებად ისტორიულ ცვლილებებთან ასოცირდება.

თემო ჯავახის შემოქმედება იმ პროცესების ნაწილია, რომლებშიც ქართული ვიზუალური ხელოვნების ტრანსფორმაცია მიმდინარეობს, ხდება თანამედროვე ხელოვნების პრაქტიკების გაზიარება და საკუთარ სივრცესთან მიმართებაში მათი დანერგვა. თემო ჯავახი ერთ-ერთი წარმატებული ხელოვანია, რომლის შემოქმედებაშიც საერთაშორისო გამოცდილების გააზრება ჰარმონიულად დაუკავშირდა ქართული თანამედროვე ხელოვნების აქტუალურ თემებსა და მიმდინარე პრობლემატიკას.

ხათუნა ხაბულიანი  
ხელოვნებათმცოდნე, თავისუფალი კურატორი  
2015 წელი

## About Temo Javakhi's (Javakhishvili) Art

Temo Javakhi is a distinguished figure in Georgian Art with his various experiments and constantly original artistic reactions related to current processes in the local context.

In his creative biography, there are: paintings, graphics, photography, artistic objects, word-objects, synthesis of a text and an image, performance, video art, installation and other...

However, his name is associated first of all with abstract objects of textured surfaces. These objects are artworks with a "picture" layout which develop on architectural surfaced motives, focusing on the texture of materials (cement, annealed ground, stone powder and other chemical pigments used for ground structuring) and surface treatment with relief "furrows". Character of artworks of such type triggers associations of naturally preserved "fingerprints" of prehistoric images and archetypal motives. Their determining focus is marked with a script and an alphabet theme.

In 1991 Temo Javakhi's first personal exhibition was based exactly on this concept and its title "Letrism" meant a relationship with the experience of a famous modernist direction and a peculiar understanding of this experience at the same time.

Signs carved on texture surfaces, separate letters of alphabet, figures, cartographic silhouettes and symbolic images create a visual system of a kind of cipher where (in most cases) specific contents does not matter, it is related to the general history, experience and knowledge codes. From artworks of this direction "Abraham's Descendants" and "The Main Prayer" built on the theme of Morse alphabet are noteworthy, where a text displayed with cipher on a neutral background changes into a symbolic image of both human history generally and cultural one as well.

In one of the famous artworks of Temo Javakhi ("Я") an artistic form of self-presentation is also related to the alphabet. The artist's stand manner showed on the self-portrait represents a graphic imitation of the Russian "Я" – with a black suit on a neutral white background. A succinct black and white image shows personally chosen solitude and one's own "irrelevance" in a social space at the same time, a kind of conflict with the existing system which moves into the introverted self-deepening. However, there are also included specific topics such as an existing bureaucratic system and its indifference to the artistic world.

Temo Javakhi's action "Bul-Bulioni" (National Gallery, 1991) from the series of Linguistic Games (In Georgian "Bulbuli" means a nightingale and "Bulioni" is broth) was connected exactly to ignoring art space and showed a communication problem by crossing absurd and irony: after reading experimental poetry, the author tore the texts into pieces and boiled them with vegetables in the broth. A communication problem is more aggravated in video "Silk Man" (1994) where existential drama of estrangement is shown with a sharp message on the background of system violence and psychological tension.

In Tbilisi History Museum Qarvasla, within the workshop held in 2003, this video became the topic of one of the main discussions. A video art explorer Keiko Sey called it the classics of Georgian Video Art: "It's something great! It is done technically and very well: the contents, the texture... and how the text is included in it. How it starts generally... with a completely mute animation and then how the text, the music and the sound join. I have a feeling as if it was an artwork of a twenty-year-old person. I do not mean the professional level of the art-work, I mean the strong emotional-sensitive side... And if I did not know the author, I would think that this video is made by a twenty-year-old young boy who is somewhat frustrated by Georgian political and generally lifetime matters. I would think that it is made by a person who tries to put his energy into something else." (Keiko Sey, 2009.4.4.)

Dramatic nature is especially strong in such a minimalist form as one of Temo Javakhi's important artworks – "Heavy", 1993. It is a granite sculpture – a case with a bronze handle, which is nearly impossible to move from its place. Quite a simple form defined with a heavy stone texture component shows extreme tension and hardness of a critical moment in the recent history of Georgia.

An interest to textures is deepened and developed in artworks that can be united in the environmental art category. For this artist transformation processes are important, no matter whether it is melting of an ice “pillow” or development of a plant from a seed. A motive of organic processes became a symbolic image of the existing world in the project “Astral Projection” which included an assemblage “XX Floor” (N Gallery, 1998), where on a large size canvas a false oat-grass was growing. In the cut fragment of the canvas there was a monitor installed with a video shot where steps going up the stairs continued endless possession of a human.

Here the field of a general context goes on a visual metaphor of the relationship between a human and the world. But problems of local context developed in other works are connected to the linguistic dimension again. An action-performance “Qartveli” (“Georgian”) was held in the old gallery in 1998. The term “Qartveli” and “Qart Valley” (the field of winds) made by its division are related to the discourse defining the national identity where, because of the political-geographic location of the mentioned country, nationality is associated with permanent cataclysms and unpredictable historical changes.

Temo Javakhi’s art is part of the processes in which transformation of Georgian visual art is going on, sharing of modern art experiences and their introduction in relation with one’s own space are taking place. Temo Javakhi is one of the successful artists and in his artworks understanding of the international experience is harmonically connected to actual topics of modern Georgian art and current problems.

Khatuna Khabuliani  
Art-historian, Independent Curator  
2015

## სებასტიან პლუო

„ანტკრიზისი მდგომარეობს სწორედ იმ ფაქტში, რომ ძველი კვდება, ახალი კი ვერ იბადება. ამ განუკითხაობაში ავადმყოფური სიმპტომების დიდი სახესხვაობა იჩენს თავს.“

ანტონიო გრამსკი

თემო ჯავახიშვილის ხელოვნების შესახებ

ორი წითელი შხეფის კვალი ატყვია კედელს, რომლის მიმართულებითაც თემო ჯავახიშვილი უშედეგოდ ცდილობს კიდევ ერთი „ფეთქებადი“ ბურთის სროლას. გაბედული რევოლუციური აქტია ჩადებული მომენტში, როცა ვხედავთ მარტივი ვიდეო არტეფაქტის ორ კადრში, როგორ ბრუნდება ბურთი მსროლელის ხელში და მესამე ლაქა უსასრულოდ უჩინარდება. თუ შევადარებთ ამ მოქმედებას ვალტერ ბენიამინის მიერ აღწერილი რევოლუციონერების საქციელს, რომლებიც ქუჩის საათებს ესროდნენ ტყვიებს იმ მიზნით, რათა შეეჩერებინათ მოძველებული პოლიტიკური წესრიგი. თემო ჯავახიშვილის ვიდეო არტი გვიჩვენებს დისფუნქციურ დროის მონაკვეთს, რომელიც კი არ ჩერდება, არამედ განუწყვეტლივ მიდის უკან. ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული ეს სიმბოლური ჟესტი გადაიქცევა სიზიფეს შრომად, სადაც პოლიტიკური ტრანსფორმაციის სიმბოლური აქტი ჩნდება იმ განუკითხაობაში, რომელზედაც გრემსკი მიუთითებდა. ავადმყოფური სიმპტომი ჩაბუდებულია ისტორიულ – ისტერიული განმეორებების შეყოვნების ეფექტში, სადაც ძალადობა ყოველთვის ხორციელდება სხვა, ძველი ან ახალი, წესრიგის მიერ. ეს კომპარული და შემზარავი გამოცდილება უმწეობის (უძალობის) ერთ-ერთი გამოხატულებაა. განმეორება, სადაც ფეთქებადი ბურთი უკან უბრუნდება თავის მსროლელს, პარადოქსულ კავშირშია განძარცვასთან (საკუთრების დაკარგვასთან). მფლობელი განუწყვეტლივ აცალკევებს საკუთარ თავს ობიექტისგან, ამიტომ ჩამოერთმევა მას უნარი, დაკმაყოფილებული იყოს თავისივე აქტის დანატოვარი შედეგით. ეს აქტი მის ჩამდენსა და ავტორს უკვე აღარ ეკუთვნის, ავტორი აღარ თამაშობს, ის თვითონაა გათამაშებული რეციპიენტის მიერ.

ეს შეკავებული დროის მონაკვეთები უკავშირდება თემო ჯავახიშვილის ნამუშევრების ცენტრალურ იდეას: პროცესისა და ტრანსფორმაციის დიალექტიკურ მცნებას. სურათების სერიაში “ჩ” დამთავალიერებლის მგერის წინაშე დგას არტისტი კირილიცას პოზით თავის „მე“-სთან ერთად. (ჩ – ესაა ასო, რომელიც ცოცხალ სხეულს სტატიკურ ფიგურად აქცევს). კირილიცაზე ჩ პირველი პირის ნაცვალსახელს აღნიშნავს, „მე“-ს. გრაფიკულად ეს ასო სხეულს ჰგავს: მომუჭული მარცხენა ხელი, მეორე ხელი თეძოზე და მარჯვენა მკლავით შემოხაზული მრუდი, მხრების სიგანეზე მყარად გადგმული ფეხები და დაღუნული თავი. ავტოპორტრეტი ტექსტია, დაწერილი კირილიცას იდიომატიური ძალით, რომელიც გემოაღწერილი სხეულის კონფიგურაციას ქმნის. – რამდენიმე წლის წინ ამერიკელმა არტისტმა, რობერტ მორისმა, პატარა ხის ყუთი გააკეთა პაწაწინა კარით, რომელიც წარმოადგენდა ლათინურ ასოს “I”. კარს ვინც გააღებდა, დაინახავდა მხატვრის შიშველ ავტოპორტრეტს, რომელიც კარის გამღებს დაფინებით უმზერდა.

ნარცისისტული მოტივი, რომელსაც საკუთარი თავის ემანსიპაციისათვის ყუთის კარზე გამოსახული ასო სჭირდება, გადაიქცევა ძალადობრივ იდიომად. ხანდახან ნამუშევარი გამოხატავს იმას, თუ როგორ შეუძლია ძალას შეამციროს მოძრაობა, ხანდახან კი პირიქით, ნამუშევარი ამჟღავნებს ტრანსფორმაციის წარმოქმნის (გამომუშავების) უნარს.

TRANS<sup>1</sup> – პერფორმანსია, რომელიც პირველად განხორციელდა თბილისში 1997 წელს. ის გაჩნდა, როგორც რეაქცია გამოფენისა სათაურით „ტრანსკავკასია“, რომელიც – 1998 წლის, თებერვალში

<sup>1</sup> ნამუშევარი “TRANS”- მოგვიანებით წარმოდგენილი იქნა: საფრანგეთში, პარიზში, 2011 წელს გამოფენაზე სახელწოდებით „თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე“ (CNEAI), პარიზი, კურატორი სებასტიან პლუო\*; „წერილი ყოველთვის აღწევს დანიშნულების ადგილს“, ESBA TALM Angers and პარტნიორების საგამოფენო სივრცეებში ინტერნეტში, მურიე გაუ გალერეა, ნიუ იორკი; Galerie Leonard & Bina Ellen-ში, კონკორდიას უნივერსიტეტი, მონრეალი, კვებეკი; პარიზის სააგენტო GB-ის გალერეაში.

უნდა განხორციელებულიყო პარიზში და რომლის მიზანიც იყო საფრანგეთში ქართველი არტისტების წარდგენა. თემო ჯავახიშვილი თავიდან მიწვეული იყო იქ, მსგავსი კონტექსტის მქონე საკუთარი ნამუშევრების საჩვენებლად, მაგრამ (მაშინდელი ცალკეული კულტურის მოღვაწეთა „ბრუნვის“ შედეგად) შემდგომში ეს შეთავაზება გაუქმდა. ამ არა კეთილგანწყობილი უცხტის ირონიულ პასუხად არტისტმა გადაწყვიტა, განეხორციელებინა პერფორმანსი TRANS თბილისში, სწორედ იმ საღამოს, როცა „ტრანსკავკასიის“ გამოფენა გაიხსნებოდა საფრანგეთში, თუმცა შეცვალა თავისი აზრი და ექვსი თვით ადრე - 1997 წელს მოხდა ამ პერფორმანსის წარმოდგენა „ძველ გალერეაში“, თბილისში. - თ. ჯავახიშვილმა გამოფენის დასახელების პირველი ნაწილის TRANS-ის მატერიალიზება მოახდინა და სიტყვა TRANS მაგიდაზე დაწერა ღვინის ჭიქებით. ამგვარად, ნამუშევარი ყველას თვალწინ იქმნებოდა სიტუაციის მიხედვით. სანამ ხალხი ჭიქებს იღებდა, სვამდა და იშვიათად აბრუნებდა თავის ადგილზე, სიტყვა ახლებურად ეწყობოდა და იცვლებოდა, როგორც (ხშირად) იცვლება ხალხის აზრი. პერფორმანსის მიმდინარეობის დროს ნამუშევარი ტრანსფორმირდა ისევე, როგორც მისი მიმღებები ანუ დამთვალეირებლები, რომლებიც ადვილს უცვლიდნენ სკულპტურულ ობიექტს პროცესის უტილიტარული ღირებულების მიხედვით. ნამუშევარმა ბუკვალურად და კონცეპტუალურად იმ სიტყვის დეკონსტრუქცია მოახდინა, რომლის აღმნიშვნელიც თავიდანვე ჩამოაცილეს მას. „ტრანს-კავკასიის“ ნაცვლად, შეიძლება „ტრანს“ გამოხატავდეს: „ტრანს-მისიას“ (გადანაცვლებას) ერთი ადამიანისა მეორესაკენ, „ტრანს - ლაციას“ - ერთი მნიშვნელობიდან მეორეში გადასვლას და „ტრანს-პოზიციას“ - გადაადგილებას. მისი მრავალგზის გამეორება იწვევს ერთი კონტექსტიდან და ერთი პერიოდიდან მეორეში ტრანს-ფორმაციის დაუსრულებელ (უწყვეტ) შესაძლებლობებს. თემო ჯავახიშვილის ნაწარმოებები, დანახული (განხილული) ტრანსლაციის თეორიების ჭრილში, ამჟღავნებს იმის იდენტიფიცირების უნარს, თუ ენა - გამოყენების პროცესში (სხეულთან და სხვა ობიექტებთან მიმართების დროს) როგორ ავლენს (ამჟღავნებს) ხოლმე გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ მოვლენებს.

*ხელოვნების ისტორიის მაგისტრი. სპეციალისტი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში EHES-გან და დამოუკიდებელი კურატორი. მისი კურატორობით განხორციელდა მრავალი შესანიშნავი პროექტი: პარიზში, ნიცაში, მონპელიეში, სან ფრანცისკოში, ჩიკაგოში, ნიუ იორკში, მონრეალში და სხვა. კითხულობდა ლექციებს Universite Paris IP antheon Sorbonne, HEAD of Geneva. ასწავლის ხელოვნების ისტორიასა და თეორიას უმაღლეს სკოლაში (l'Ecole Superieure des Beaux – Art da Angers).*

სებასტიან პლუო

## Sébastien Pluot

«The crisis consists precisely in the fact that the old is dying and the new can not be born. In this interregnum, a great variety of morbid symptoms appears»

Antonio Gramsci

### Temo Javakhishvili Art

Two red splashes are already marking the wall on which Temo Javakhishvili is desperately trying to throw a third one. The fearless revolutionary act is trapped since a simple video art if act brings the ball back to the hand of its source in a two shot loop and the third stain disappears, endlessly. If compared with the act of the revolutionary who, as described by Walter Benjamin, were shooting on “public” clocks to stop the old political order, the video is showing a dysfunctional timepiece that never stops but goes backward, forward and backward again. A symbolic gesture against the authority becomes a Sisyphus burden where a symbolic act of political transformation remains in an interregnum as Gramsci stated. The “morbid symptom” resides in the stuttering effect of historical/hysterical repetition where coercion is always provided by another old or new order. This nightmarish uncanny experience is one of powerlessness. The repetition where the ball of painting is coming back to its emissary has to do paradoxically with dispossession. The owner is constantly separating himself from the object and is therefore withdrawn from his ability to be satisfied by the remaining consequences of his act. The action does not belong to its author anymore, he is not playing anymore he is played by the recipient. This suspended time is having to do with a central issue in Temo Javakhishvili’s work: the dialectical notion of transformation and process.

With the series of pictures entitled *Я*, it is a letter that transforms the living body into a static figure. The artist stands in front of the gaze of the viewer with a Cyrillic posture of and I. “Я” in Cyrillic means the person pronoun “I”, the self. The letter is formed by the body: closed left fist, the other hand on the hip drawing a curve with his right arm, legs steadily apart on the floor and head down. The self-portrait is a text written with the Cyrillic idiomatic power that configures the submitted body. Some years before, the American artist Robert Morris did a small wooden box with a tiny door formed by the letter “I”. If one opens the box she/he discovers a naked self-portrait of the artists staring at the viewer. The narcissistic drive claiming for its emancipatory letter is turned into a coercive idiom.

Sometimes, the work demonstrates how power can reduce movement and sometimes the work shows the ability to generate transformation.

*Trans*<sup>1</sup> is a performance first organized in Tbilisi in 1997. It happened in reaction to an exhibition entitled “Transcaucasia” whose aim was to promote Georgian artists in France. Temo Javakhishvili was first invited to show his work in this context but his proposal was later rejected. As an ironical response to this unfriendly gesture, he decided to organize *Trans* in the “Old Gallery” in Tbilisi the same evening as the opening of the “Transcaucasian” exhibition in France. He materialized the first half of the title “Trans” written with glasses of red wine installed on a table. Nothing else was there except the work that consisted in the evolving sculpture/situation. While people were taking glasses, drinking and randomly leaving the empty glass back to the table, the word was reconfigured as well as people’s mind. As the work/opening went on, the work was trans-formed as well as their recipients Shifting the sculptural object to the use value of a process, the

---

<sup>1</sup> The work *Trans* was later showed in the exhibition *A Translation From One Language to Another* in France, 2011, CNEAI, Paris, curator Sébastien Pluot. *A Letter Always Arrive At Its Destinations*, ESBA TALM Angers and at parnter’s exhibition spaces via Internet, Murray Guy Gallery, New York, Galerie Leonard & Bina Ellen, University of Concordia, Montréal, Quebec, GB agency Gallery, Paris.

work was literally and conceptually deconstructing a word whose signifier was suspended to its adjunction that might reflect at the same time trans-mission from one person to another, trans-lation from one meaning to another and trans-ition from one place to another. Its reiteration enables to endlessly envisage its transformation from one context and one period to another.

Considered through the theories of translation, the work of Temo Javakhishvili shows its ability to identify how the use of language - its relation with the body and the other - is revealing crucial political issues.

*Hi is an Art Historian Master and Independent Curator. He teaches Art History and Theory at l'Ecole Supérieure des Beaux-Art de Angers, where he directs, with Fabien Vallos, the research program in Translation. He is the co-director of Art by Translation and international program for research and exhibition between Europe and North America. He has lectured at SFAL, Bernard College, Universite Paris Pantheon Sorbonne, HEAD of Geneva. Hi was curator many excellent exhibitions – cities: Paris, Nice, Montpellier, New York, Chicago, Montreal, San Francisco.*

Sébastien Pluot



1976 – 2015



ნაწილი და მთელი. ზეთი, ტილო, 90x120  
Part of the whole. Oil, Canvas, 90x120



აბსტრაქცია. ზეთი, ტილო, 70x50  
Abstraction. Oil, Canvas, 70x50



ნოსტალგია. მუყაო, შერ. ტექნიკა, 50x75  
Nostalgia. Cardboard, mix. technique, 50x75




აბსტრაქცია. ზეთი, ტილო, 60x100  
Abstraction. Oil, Canvas, 60x100

Heavy blanket. Spring is coming. Heavy blanket.

\_\_ 0\_0\_ 00 \_\_ 0 0\_  
000 0\_ \_000 0\_ \_0 00  
\_\_0 0\_ \_\_00 0\_ 00\_0  
0000 00\_ 0\_00 00  
\_\_ \_ \_ \_ \_00 00 000  
\_\_ 0\_0\_ 00 \_\_ 0 0\_  
000 0\_ \_000 0\_ \_0 00

მძიმეა საბანი... გაზაფხული მოდის. მძიმეა საბანი.



უსასრულობა. ზეთი, ტილო, 100x120, 2013 წ.  
Infinity. Oil, Canvas, 100x120, 2013



უსასრულობა. გეთი, ტილო, 100x120, 2013 წ.  
Infinity. Oil, Canvas, 100x120, 2013



თ. ჯავახი. 1964 წ.  
T. Javakhi. 1964

სადგურში -  
სადღაც ბნელ ქალაქში  
ავდრიან ღამით  
მატარებელში ავიდა კაცი.  
დადო ზურგჩანთა  
მაგიდაზე შვილის სურათი  
შეიგინა და...  
ჩაეძინა.

.

ნეტავ რა სიზმარს ხედავს ეს კაცი ?

\*

It happened  
At one disgusting night  
At the railway station in a darkened city.  
A man got on a train  
Then he put a rucksack on the floor  
And his child's photo – on the table.  
He uttered a swearing word and...  
Fell asleep.

.

I wonder what is his dream like?






ობიექტი 1. შერ. ტექნიკა, 47x65, 1983 წ.  
Object 1. Mix. technique, 47x65, 1983



ობიექტი 2. შერ. ტექნიკა, 90x110, 1983 წ.  
Object 2. Mix. technique, 90x110, 1983




ობიექტი 3. შერ. ტექნიკა, 30x36, 1984 წ.  
Object 3. Mix. technique, 30x36, 1984



ობიექტი 4. შერ. ტექნიკა, 26x23, 1984 წ.  
Object 4. Mix. technique, 26x23, 1984




ობიექტი 18. შერ. ტექნიკა, 60x90, 1989 წ.  
Object 18. Mix. technique, 60x90, 1989



ობიექტი 17. შერ. ტექნიკა, 60x80, 1989 წ.  
Object 17. Mix. technique, 60x80, 1989



ობიექტი 5. შერ. ტექნიკა, 22x28, 1984 წ.  
Object 5. Mix. technique, 22x28, 1984



ობიექტი 6. შერ. ტექნიკა, 140x160, 1984 წ.  
Object 6. Mix. technique, 140x160, 1984



ობიექტი 8. შერ. ტექნიკა, 70x70, 1983 წ.  
Object 8. Mix. technique, 70x70, 1983



ობიექტი 9. შერ. ტექნიკა, 110x90, 1985 წ.  
Object 9. Mix. technique, 110x90, 1985





ობიექტი 10. შერ. ტექნიკა, 60x80, 1986 წ.  
Object 10. Mix. technique, 60x80, 1986



ობიექტი 11. შერ. ტექნიკა, 60x80, 1987 წ.  
Object 11. Mix. technique, 60x80, 1987



ობიექტი 10. შერ. ტექნიკა, 60x80, 1986 წ.  
Object 10. Mix. technique, 60x80, 1986



ობიექტი 15. შერ. ტექნიკა, 44X30, 1989 წ.  
Object 15. Mix. technique, 44x30, 1989




ობიექტი 16. შერ. ტექნიკა, 44X30, 1988 წ.  
Object 16. Mix. technique, 44x30, 1988



ობიექტი 16. შერ. ტექნიკა, 44X30, 1988 წ.  
Object 16. Mix. technique, 44x30, 1988



ობიექტი 14. შერ. ტექნიკა, 60X60, 1988 წ.  
Object 14. Mix. technique, 60x60, 1988



აბრაამის შობდგმა (მორზეს ანბანი). შერ. ტექნიკა, 80x80, 1985 წ.  
Abram's descendants (The Morse Alphabet). Mix. technique, 80x80, 1985



მთავარი ლოცვა (მორზეს ანბანი). შერ. ტექნიკა, 80x80, 1985 წ.  
The Main Prayer (The Morse Alphabet). Mix. technique, 80x80, 1985



ტექსტი „შევალ მეტროში“ – აქცენტს აკეთებს იმ მოუხელთებელი მღვარის არსებობაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ სხვადასხვა სუბსტანციას (სიცოცხლესა და მის შემდგომ მდგომარეობას) და მოიაზრება, როგორც მათ შორის არსებული „გზა“, „კარი“, „პორტალი“.

Text “go into the subway in” – focuses on the elusive distinguish existence of the limit, which connects the two different substances (for life and in the aftermath of the situation) and is considered as a – including the – “on the road”, “door”, “Portal”.



4. შერ. ტექნიკა, 70x100, 1989 წ.  
4. Mix. technique, 70x100, 1989






ისტორიის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში „დავთესე“ ხორბალი, რომელმაც იხარა... მაგრამ – ადგილობრივმა ვირთხებმა (როგორც ხშირად ხდება საქართველოს ისტორიის სინამდვილეშიც) იმავე ღამეს, მთლიანად გადათხარეს იქაურობა. ასე, რომ ეს ვირთხები არ არიან ჩემი მეგობრები, თუმცა ისინი არიან ჩემი თანავტორები, რადგანაც ამ შემთხვევაში, მათ შექმნეს ამ ინსტალაციის კონტექსტიც და მეტაფორაც.

თ. ჯავახი  
1991 წ. თბილისი. საქართველო

I sowed the wheat in the exhibition hall at History Museum but the local rats destroyed everything that night (as it often happens in the history of Georgia). Of course these rats are not my friends but they are really my co-authors as they have created the context for me installation.

T. Javakhi  
1991. Tbilisi. Georgia



ჩქარა...  
ჩქარა...  
საწოლისაკენ!..  
ჩემო ერთგული მეგობრებო...  
უიმედო... და წყვეტილო ფრაზებო...  
გვითვალთვალებენ...  
ჩქარა...  
ჩქარა...  
საწოლისაკენ!..  
საბანი გადაიფარეთ!

Please...  
Be quick...  
Be quick...  
On your way to bed!  
My devoted friends...  
Hopeless and detached phrases.  
We are spied on!  
Be quick...  
Be quick...  
On your way to bed!  
\*  
Hide yourselves under the blanket!




რუსი პოლიტიკოსების ოცნება.  
Russian Politican Dreams.





1971 – 2015

თ. ჯავახი. თბილ. სახ. სამხატვრო აკადემია, 1971 წ.  
T. Javakhi. Tbilisi State Academy of Arts, 1971



პროექტი „ვეფხისტყაოსანი – მხატვრის წიგნი“ (როსტევანი), 2014 წ.  
Project “Vepkhistaosani – Artist Book“ (Rostevani), 2014



ჩრდილის წაშლა. ვიდეო, 1993-94 წ.  
Removing Shadow. Video, 1993-94



წავიკითხე საკუთარი ექსპერიმენტული პოეზიის ნაწარმოები. შემდეგ დავჭერი ტექსტი, სადილისთვის საჭირო ინგრედიენტები (ხახვი, მწვანელი, ანბანის ასოები) და მოვათავსე მდულარე ბულიონიან ჭურჭელში. ამის შემდეგ ის შევთავაზე „ყრუ“ რესპოდენტებს, რომელთა პოლიტიკური გავლენაც ხშირ შემთხვევაში აფერხებს დემოკრატიული პროცესების განვითარებას.



ბულ - ბულიონი. ცისფერი გალერეა, თბილისი, 1991 წ.

Bul - Bouillon  
Blue Gallery, Tbilisi, 1991



The action “Bul- Bouillon” /broth/ thought a problems caused by communication.  
There were read the works of experiment poetry, which was cut and boiled with vegetables. Then the broth was distributed to the spectators.  
The word bul-boulli in Georgian means – nightingale.





ქალი და მამაკაცი. ინსტალაცია, 1995 წ.  
The Woman and The Man. Instalation, 1995

Tiflis als ob verstorte Tage  
lauthals versucht sich der Protest  
der schnelle Atem der Geschichte  
Angst was uns noch gefangen halt  
Zahit und zahit nicht sucht zu gefallen  
dab wie wir sind dab wir nicht sind  
wo tausend leere Worte flaggen  
Kartlis deda verbranntes Geld  
Umsonst vergeigtes lari-fari  
m. a. W. das was hier  
und jetztund hier macht laut wahnschaffen  
und doch nur mehr Gott weib warum  
